

საქართველოს პრეზიდენტის საშინაო კომპეტენციები 2017 წლის 13 ოქტომბრის საკონსტიტუციო რეფორმათა ჭრილში

ფაჩოშვილი კობა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2024.37.01.36>

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოში კონსტიტუციაში 2017 წლის 13 ოქტომბრის განხორციელებული კონსტიტუციური რეფორმა, პრეზიდენტის, მინიმუმამდე დაყვანილი საშინაო კომპეტენციათა ნუსხა და ამ მიმართლებით წარმოქმნილი პრობლემური საკითხები, მათი გადაჭრის გზები და მოსალოდნელი შედეგები.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პრეზიდენტის ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან კომპეტენციებზე როგორებიცაა აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მთავრობის სხდომებზე ცალკეულ საკითხთა განხილვაში მისი მონაწილეობა. რაც ზემოხსენებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად გამოირიცხა პრეზიდენტის უფლებამოსილებებიდან.

ნაშრომში დასმული საკითხების განხილვა და არგუმენტირებული დასკვნები იძლევა პასუხს კითხვაზე შესაძლებელია თუ არა საპარლამენტო მმართველობის პირობებში პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური მონაწილეობას იღებდეს, მთავრობის ფორმირების პროცესებში, მონაწილეობდეს მთავრობის სხდომებში მის მიერ დაყენებული ცალკეული საკითხების განხილვაში.

1. პრეზიდენტის საშინაო კომპეტენციები კონსტიტუციური რეფორმების ჭრილში

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.“ საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის მიღებით ქვეყანაში მორიგი კონსტიტუციური რეფორმა განხორციელდა. შედეგად კიდევ ერთხელ შეიცვალა სახელისუფლებო შტოებს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილების მანამდე დადგენილი კონსტიტუციური წესრიგი. რეფორმამ პრეზიდენტის ინსტიტუტი საბოლოოდ ჩამოაშორა აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესს. საკონსტიტუციო ცვლილებათა 56-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ახლად არჩეული პარლამენტის სრული უფლებამოსილების შეძენისთანავე მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პარლამენტის წინაშე და განაგრძობს მოვალეობის შესრულებას ახალი პრემიერ-მინისტრის დანიშვნამდე.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტით „პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან, ორი კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობას, ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.“ ძირითადი კანონის ახალი რედაქციით პრეზიდენტი ჩამოშორებული იქნა ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ფორმირების პროცესებიდანაც, რადგან კონსტიტუციის ახალ რედაქციაში ვეღარ მოხვდა რეფორმამდე არსებული ძირითადი კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში, უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ-სუბიექტებთან კონსულტაციების შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას.“

პრეზიდენტის, საშინაო კომპეტენციათა ნუსხიდან გამოვიდა აგრეთვე მთავრობის სხდომებზე ცალკეულ საკითხთა განსახილველად დაყენების მის განხილვაში მონაწილეობის მიღების და აქედან გამომდინარე მთავრობის სხდომებში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება.

2. შედარებით სამართლებრივი ანალიზი უცხოეთის ქვეყნებთან

პრეზიდენტის კომპეტენციათა მაქსიმალური შეზღუდვის არგუმენტად, საკონსტიტუციო რეფორმების ავტორები ხშირად ასახელებდნენ სახელმწიფო მმართველობის ფორმის ცვლილებას, ჯერ ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) ხოლო შემდეგ საპარლამენტო მმართველობის შემოღებას და ამ მიმართულებით იშველიებდნენ უცხოეთის სახელმწიფოთა პრაქტიკასა და გამოცდილებას. ამასთან ერთად მთავარი პოლიტიკურ-სამართლებრივი არგუმენტი იმაში მდგომარეობდა, რომ ფართო უფლებების მქონე პრეზიდენტს გაუჩნდებოდა მეტი პრეტენზიები და სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში უპირატესობის მოპოვების სურვილი, რაც გარკვეულ საფრთხეს შექმნიდა ქვეყანაში ავტორიტარიზმის და ხელისუფლების მიტაცების მიმართულებით.

შესაბამისად საინტერესოა განვიხილოთ, სახელმწიფო მმართველობის ფორმით საქართველოსთან მაქსიმალურად ახლოს მდგომ უცხოეთის სახელმწიფოთა პრეზიდენტების კომპეტენციათა არსენალში არის თუ არა სახელმწიფოს მეთაურის ისეთი მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები, როგორიცაა აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება და მთავრობის სხდომებში მონაწილეობა.

3. მთავრობის ფორმირების პროცესში პრეზიდენტის მონაწილეობა

საპარლამენტო მმართველობის ერთ-ერთი მთავარი ნიშან-თვისებაა საკანონმდებლო ორგანოს მაღალი როლი აღმასრულებელი ორგანოს ფორმირებასა და საქმიანობაში, შესაბამისად ქვეყანაში ჩატარებულ თუ ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება.

ამდენად, მთავრობის, როგორც შექმნის ასევე გადადგომის საკითხიც უცხოეთის არაერთ სახელმწიფოში ახლად არჩეული პარლამენტის უმრავლესობის მხარდაჭერასთან და მის გადამწყვეტ სიტყვასთანაა დაკავშირებული. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, იმასაც, რომ როგორც საპარლამენტო, ასევე ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის ქვეყნებში, მართალია საკანონმდებლო ორგანოს აქვს გადამწყვეტი სიტყვა მთავრობის შექმნის პროცესებში, მაგრამ არც პრეზიდენტის როლია სრულად გამორიცხული. შესაძლებელია ხშირად, ფორმალურად, მაგრამ პრეზიდენტები მაინც ფლობენ კომპეტენციებს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებასთან დაკავშირებით. არსებობს ორი ძირითადი ვარიანტი ამ მიმართულებით.

პირველი ვარიანტის მიხედვით პრემიერ-მინისტრობის, მთავრობის თავმჯდომარეობის და მინისტრობის კანდიდატებს, პარლამენტში წარდგენამდე შეარჩევს და ნიშნავს პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური. ამის შემდეგ ხდება საკანონმდებლო ორგანოში ნდობის მისაღებად, დასამტკიცებლად წარდგენა. მეორე ვარიანტის მიხედვით კი ჯერ პარლამენტის მიერ ხდება შერჩეული პრემიერ-მინისტრის და მინისტრების დამტკიცება, ხოლო ამის შემდეგ პრეზიდენტი გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს, სადაც აისახება პარლამენტის ნება. სწორედ ამ ჭრილში განვიხილავ საპარლამენტო და შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) უცხოეთის ქვეყნებში აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებასთან დაკავშირებულ კონსტიტუციურ რეგულაციებს.

3.1. პოლონეთი, პოლონეთი ცენტრალური ევროპის შერეული მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკაა, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირების პროცესში, გადამწყვეტი სიტყვა საკანონმდებლო ორგანოს ეკუთვლის, რადგან სწორედ პარლამენტის მიერ ნდობის გაცმობაზეა არგამოცხადებაზეა დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ბედი. თუმცა, პარლამენტში ნდობის გამოცხადებამდე ჯერ რესპუბლიკის პრეზიდენტი შეარჩევს და ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და შემდეგ წარუდგენს პარლამენტს ნდობის გასაცხადებლად.

პოლონეთის კონსტიტუციის 154-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, პოლონეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურას ჯერ დაასახელებს და თანამდებობაზე დანიშნავს პოლონეთის პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური, ხოლო ამის შემდეგ დანიშნვიდან 14 დღის განმავლობაში სეიმს წარუდგენს მინისტრთა საბჭოს სამუშაო პროგრამას და წინადადებით მიმართავს მას, ნდობა გამოუცხადოს მინისტრთა საბჭოს. სეიმი მინისტრთა საბჭოს ნდობას უცხადებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, თუ პრეზიდენტმა არ დაასახელა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა, ან სეიმმა არ გამოუცხადა ნდობა, მაშინ სეიმი თავად ირჩევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და მის მიერ შემოთავაზებულ მინისტრთა საბჭოს წევრებს ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. პრეზიდენტი ნიშნავს ამ წესით არჩეული მინისტრთა საბჭოს და ადებიანებს ფიცს.

3.3 პორტუგალია, პორტუგალიის შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) მმართველობის რესპუბლიკაში კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლება გადანაწილებულია საკანონმდებლო ორგანოს, მთავრობას და პრეზიდენტს შორის. პრეზიდენტი წარმოადგენს პორტუგალიის რესპუბლიკას, უზრუნველყოფს ეროვნულ დამოუკიდებლობას, სახელმწიფოს ერთიანობას და დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალურ ფუნქციონირებას, არის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო არის პორტუგალიის მთავრობა, რომელიც ახორციელებს და ხელმძღვანელობს საერთო სახელმწიფო პოლიტიკას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში. კონსტიტუციის 187-ე მუხლის პირელი პუნქტის თანახმად: „პორტუგალიის პრემიერ-მინისტრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. რესპუბლიკის ანსამბლეაში წარმოდგენილ პოლიტიკური პარტიებთან კონსულტაციებისა და არჩევნების შედეგების გათვალისწინებით“. მთავრობის დანარჩენ წევრებს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: „ნიშნავს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით“.

3.4. ბულგარეთი, ბულგარეთი საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკაა, საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად, ბულგარეთის პრეზიდენტი

სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 99-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საპარლამენტო ჯგუფებთან კონსულტაციების შემდეგ პრეზიდენტი აკისრებს ყველაზე მრავალრიცხოვანი საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ვალდებულებას, წარადგინოს მთავრობის შემადგენლობა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად თუ „შვიდი დღის ვადაში ვერ შეძლებს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მთავრობის შემადგენლობის წარდგენას, პრეზიდენტი ამ ვალდებულებას აკისრებს მრავალრიცხოვნებით მეორე საპარლამენტო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს. მე-3 პუნქტის თანახმად თუ ამ შემთხვევაშიც არ არის შეთავაზებული მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა პრეზიდენტი წინა პუნქტით დადგენილ ვადაში ავალეს ნებისმიერ მომდევნო საპარლამენტო ჯგუფს მიუთითოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი. მე-4 პუნქტის თანახმად კი, როდესაც დავალება წარმატებით დასრულდება. პრეზიდენტი სახალხო კრებას სთავაზობს აირჩიოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი.

3.5 ესტონეთი, ესტონეთის საპარლამენტო მმართველობის რესპუბლიკაში ქვეყნის პრეზიდენტი აქტიურადაა ჩართული აღმასრულებელი ხელისუფლების, მთავრობის ფორმირების პროცესში. ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 89-ე მუხლის თანახმად, „მთავრობის გადადგომის შემთხვევაში რესპუბლიკის პრეზიდენტი 14 დღის ვადაში ნიშნავს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, რომელსაც ავალეს ახალი მთავრობის ფორმირებას. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი სახელმწიფო კრებაზე ვერ მიიღებს ხმათა უმრავლესობას, ან ვერ შეძლებს მთავრობის ფორმირებას, პრეზიდენტი უფლებამოსილია წარადგინოს პრემიერ-მინისტრობის ახალი კანდიდატი. თუ პრეზიდენტი არ გამოიყენებს ამ უფლებამოსილებას, ან ეროვნული ანსამბლისგან ვერ მიიღებს მთავრობის ფორმირების უფლებამოსილებას, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება გადადის სახალხო კრებაზე.

პრეზიდენტის მიერ დასახელებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ეროვნულ ანსამბლეს წარუდგენს მოხსენებას მომავალი მთავრობის ფორმირების საფუძვლების შესახებ. სახალხო კრება კამათის გარეშე, ღია კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურისათვის მთავრობის ფორმირების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი 7 დღის ვადაში პრეზიდენტს წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას, რომელიც 3 დღის ვადაში ნიშნავს მთავრობას.“ ამავე მუხლის მიხედვით „რესპუბლიკის მთავრობის დანიშნულ შემადგენლობაში ცვლილებებს ახორციელებს პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით.“

3.6. მოლდოვა, მოლდოვას საპარლამენტო მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტის მსგავსად, სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. იგი აქტიურადაა ჩართული მთავრობის ფორმირების პროცესში.

ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი წარმოადგენს კანდიდატურას პრემიერ-მინისტრობის პოსტზე.“ მე-2 პუნქტის თანახმად წარდგენიდან 15 დღის ვადაში პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა უნდა მოითხოვოს, პარლამენტმა ნდობა გამოუცხადოს მთავრობის სამოქმედო პროგრამას და მთავრობის მთელ

შემადგენლობას. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მთავრობის სამოქმედო პროგრამისა და მთავრობის შემადგენლობის ნდობის გამოცხადება განიხილება პარლამენტის სხდომაზე. პარლამენტი დეპუტატთა ხმათა უმრავლესობით უცხადებს ნდობას მთავრობის შემადგენლობას.

პრეზიდენტი მონაწილეობს მთავრობის შექმნის საქმეში ასევე ფინეთის რესპუბლიკაში.

4. მთავრობის სხდომებზე განსახილველ საკითხთა დაყენების უფლებამოსილება

პრეზიდენტის ზემოაღნიშნულ საშინაო უფლებამოსილებას განვიხილავ უცხოეთის, როგორც საპარლამენტო, ასევე ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სახელმწიფოთა მაგალითებზე:

4.1. ჩეხეთი, ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე მთავრობის ფორმირების პროცესებში, ნაშრომის ამ თავში უკვე ვისაუბრე, ამ შემთხვევაში დავამატებ, რომ ჩეხეთის პრეზიდენტი გარდა იმისა, რომ აქტიურად მონაწილეობს მთავრობის ფორმირებაში იგი მონაწილეობს ასევე მთავრობის სხდომებში და იქ დასმული საკითხების განხილვაში. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო მმართველობის შესაბამისად პრეზიდენტი ქვეყნის, როგორც საშინაო ასევე საგარეო მიმართულებით შეზღუდული კომპეტენციებით სარგებლობს, მთავრობა კი აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოა, პრეზიდენტი არა მარტო მონაწილეობას იღებს მთავრობის სხდომებში, არამედ მას უფლება აქვს მთავრობიდან გამოითხოვოს მისთვის საჭირო საკითხებზე ინფორმაცია და მთავრობასთან ერთად მიიღოს მონაწილეობა მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვაში.

ჩეხეთის რესპუბლიკის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის 64-ე მუხლის თანახმად, „რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, მთავრობისა და მისი წევრებისაგან გამოითხოვოს ინფორმაცია და მათთან ერთად განიხილოს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხები.“

მთავრობის სხდომებზე დასწრების და საკითხების განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება გააჩნიათ აგრეთვე ხორვატიის, რუმინეთის და ლატვიის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის სახელმწიფოთა პრეზიდენტებს.

4.2 ხორვატია, ხორვატია აღმოსავლეთ ევროპის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის, დემოკრატიული რესპუბლიკაა. მთავრობა პრეზიდენტისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას. მიუხედავად შეზღუდული უფლებამოსილებებისა, ხორვატიის პრეზიდენტი, კონსტიტუციის 101-ე მუხლის თანახმად, „საომარი მდგომარეობის დროს ან სახელმწიფო დამოუკიდებლობის და ერთიანობის საფრთხის შემთხვევაში ან როდესაც საჯარო ხელისუფლება ვერ ახერხებს მუდმივად შეასრულოს თავისი კონსტიტუციური მოვალეობა რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს მთავრობის სხდომა და გაუძღვოს მას.“

4.3 რუმინეთი, რუმინეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის დემოკრატიული რესპუბლიკაა, მთავრობა უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო პოლიტიკის რეალიზებას, საჯარო ადმინისტრაციის საერთო ხელმძღვანელობას. მთავრობას, როგორც დამოუკიდებელ სახელისუფლებო ინსტიტუტს, სახელმწიფო მართვის ყველა ძირითადი ბერკეტი უკავია, როგორც საშინაო ასევე, საგარეო მიმართულებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყნის ძირითადი კანონით, კონსტიტუციით პრეზიდენტს

განმტკიცებული აქვს მთავრობის სხდომებზე დასწრების უფლებამოსილება. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრეთვე მთავრობის სხდომებზე დასმული ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვაში.

რუმინეთის კონსტიტუციის 87-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრეზიდენტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავრობის სხდომებში, სადაც განიხილება ეროვნული ინტერესების საკითხები და ეხება საგარეო პოლიტიკას, ეროვნული დაცვას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, პრემიერის მოთხოვნით აგრეთვე სხვა შემთხვევებში.“ ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „რუმინეთის პრეზიდენტი უძღვება მთავრობის სხდომებს, რომლებშიც იგი მონაწილეობს.“

4.4 ლატვია, ლატვია ჩრდილოეთ ევროპის ნახევრად საპრეზიდენტო (შერული) მმართველობის დემოკრატიული წესწყობილების სახელმწიფოა. პრეზინტი სახელმწიფოს მეთაურის მაღალ სტატუსთან ერთად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავრსარდალია. ქვეყნის ძირითადი კანონის, კონსტიტუციის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლება, მინისტრთა კაბინეტი დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოს წარმოადგენს, მას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. პრეზიდენტი, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფლებამოსილია მოიწვიოს მინისტრთა კაბინეტის რიგგარეშე სხდომები და ამავდროულად თავად განსაზღვროს სხდომის დღის წესრიგი. კონსტიტუციის 46-ე მუხლის თანახმად, „რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს და აწარმოოს რიგგარეშე მინისტრთა კაბინეტის სხდომები, განსაზღვროს ამ სხდომების დღის წესრიგი“

5. საკონსტიტუციო ცვლილებები და არსებული პრობლემები

საქართველოს კონსტიტუციაში გატარებული რეფორმების შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნე, პრეზიდენტი აღარ არის სახელმწიფო მმართველობის სისტემის ქვაკუთხედი, და მთავარი ხელმწიფო ინსტიტუტი, რაც საპარლამენტო მმართველობის პირობებში მისაღები მოვლენაა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიუხედავად, კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციით პრეზიდენტი მაინც დარჩა სახელისუფლებო შტოთა შორის ყველაზე მაღალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის მატარებელ სახელისუფლებო ინსტიტუტად. ქვეყნის ძირითადი კანონის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის ძალით „საქართველო პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი.“ მაღალი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით კი ლოგიკურია, რომ საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს სხვა სახელისუფლებო განშტოებებზე „გავლენისა და ზეგავლენის უზრუნველყოფი ინიციატივის, მონაწილეობის, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი შესაძლებლობები.“ (დემეტრაშვილი ა, 2013, გვ.15)

შესაბამისად პრეზიდენტის უფლებამოსილების მაქსიმალურად შეზღუდვა „მისი „ჩამოღობორანტება,“ და სიმბოლურ, მხოლოდ ცერემონიალური ან წარმომადგენლობითი ფუნქციით დატვირთულ ფიგურად წარმოჩენა არ იქნება სწორი.“ (დემეტრაშვილი ა, 2013, გვ.13)

ამ მიმართულებით არსებობს რამოდენიმე პრობლემური საკითხი, რომლებიც პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, კომპეტენციათა ახლებური გადანაწილების გამო წარმოიშვა

პირველ რიგში, მინდა შევეხო აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირებას და ამ პროცესებიდან სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის, სრულად ჩამოცილების საკითხს.

კონსტიტუციის 56-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად „პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობას, მთავრობის შემადგენლობასთან ერთად პარლამენტს წარედგინება სამთავრობო პროგრამა, ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა.“ მთავრობის ფორმირების ამგვარი კონსტიტუციური წესი, ერთის მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს საპარლამენტო მმართველობისათვის მისაღებ და დადებით მოვლენად, თუმცა პრეზიდენტის ინსტიტუტის სრული გამორიცხვა და ჩამოცილება მთავრობის ფორმირებიდან მაინც რეფორმის უარყოფით მხარედ მიმაჩნია, რადგან არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრეზიდენტის ფუნქციებსა და მის ადგილს სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურისა და სახელმწიფოს წარმომადგენლის მაღალი სტატუსი.

აქედან გამომდინარე კი, „პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მეთაურისათვის დამახასიათებელი ისეთი უფლებამოსილება, როგორიცაა პარლამენტისათვის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურის წარდგენა და პრემიერ-მინისტრის წარდგინებით მინისტრების დანიშვნა.“ კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით კი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობის მისაღებად საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტს წარუდგენს არა ქვეყანაში უმაღლესი კონსტიტუციური სტატუსის მქონე სახელმწიფოს მეთაური, არამედ თავად ნდობა გამოუცხადებელი, პრემიერ-მინისტრობის ჯერ კიდევ კანდიდატი. მართალია ამავე მუხლში გვაქვს ასევე მე-5 პუნქტიც, რომლის თანახმადაც „მთავრობის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი მისი დანიშნიდან ორი დღის ვადაში მინისტრებს,“ თუმცა ეს ნორმა რეალურად მხოლოდ ფორმალური ხასიათის მატარებელია, რადგან ამავე მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საქართველოს პრეზიდენტი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს პრემიერ-მინისტრს, იგი დანიშნულად ჩაითვლება. პრეზიდენტი, თავისი მაღალი კონსტიტუციური სტატუსიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა იღებდეს მონაწილეობას მთავრობის ფორმირების პროცესში, მითუმეტეს, რომ უცხოეთის საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის ქვეყნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ამის მაგალითებს იძლევა.

ქვეყნის ძირითადი კანონიდან ამოღებულ იქნა აგრეთვე საკონსტიტუციო რეფორმამდე არსებული 78-ე მუხლის მე-6 პუნქტი „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ საკითხთა მთავრობის სხდომაზე განხილვა და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში“ რომლის ძალითაც საქართველოს პრეზიდენტს ჩამოერთვა მთავრობის სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხების დაყენების და მათ განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილება. იმ არგუმენტაციით, რომ თავიდან ყოფილყო აცილებული მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში პრეზიდენტის ჩარევის საშიშროება, რაც ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოდ ჩამოყალიბების ჭრილში დადებითი სიახლეა, თუმცა პრეზიდენტს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტს და ქვეყნის თავდაცვითი ძალების უმაღლეს

მთავარსარდალს, „უფლება უნდა ჰქონდეს მოიწვიოს მთავრობის სხდომა ქვეყნის თავდაცვის საკითხთა განსახილველად აგრეთვე საგანგებო და ომის მდგომარეობის დროს.“ (საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, 2010, გვ. 46)

პრეზიდენტი მთავრობის სხდომას უნდა იწვევდეს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ განსახილველი საკითხი პრეზიდენტს ეხება, როგორც სახელმწიფოს მეთაურს და როგორც ქვეყნის მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის გარანტს. პრეზიდენტის ინსტიტუტის ამგვარი უფლებამოსილებით აღჭურვა წინააღმდეგობაში არ მოვა არც ხელისუფლების დანაწილების პრინციპებთან და არც საპარლამენტო მმართველობის ღირებულებებთან. ამასთან ერთად, საგულისხმოა ისიც, რომ უცხოეთის საპარლამენტო და ნახევრად საპრეზიდენტო (შერეული) მმართველობის ქვეყნების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი ამის არაერთ მაგალითს იძლევა.

დასკვნა

ამრიგად, საკვლევი საკითხის შესწავლის, შედარებითი-სამართლებრივი ანალიზის, პრობლემური საკითხების გადაჭრისა და სრულყოფილი მოწესრიგების მიზნით ქვეყნის ძირითად კანონში, საქართველოს კონსტიტუციაში უნდა გატარდეს შემდეგი სახის ცვლილებები :

კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი „პარლამენტი მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის გადადგომის ან უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში ნდობას უცხადებს პარლამენტის არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ მთავრობას.“

აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის დანარჩენი ნაწილი დარჩეს იმავე შინაარსით, როგორც მოქმედ რედაქციაშია.

კონსტიტუციის 52-ე მუხლს ჩაემატოს ერთი პუნქტი შემდეგი რედაქციით; „საქართველოს პრეზიდენტი განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც განიხილება მის კომპეტენციას მიკუთვნებული, აგრეთვე თავდაცვითი და მაღალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ინტერესის მქონე საკითხები უფლებამოსილია დაესწროს მთავრობის სხდომას და მონაწილეობა მიიღოს დასმული საკითხების განხილვაში.“

საქართველოს კონსტიტუციაში წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება გამოიწვევს პრეზიდენტის ინსტიტუტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების სამართლიან გადანაწილებას. რის შედეგადაც დაცული იქნება, როგორც საპარლამენტო მმართველობის პრინციპები, ასევე ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა.

ლიტერატურა:

1. ბაბევი, ვ., ფიში, ს., რაიჭენბეჰერი, ც., (2012), კონსტიტუციის გადასინჯვა-საქართველოს გზა ევროპისაკენ, ქართული თარგმანი, თბილისი.
2. დემეტრაშვილი, ა., (2013), მმართველობის ახალი სისტემის თავისებულებანი საქართველოში, სუპერ-საპრეზიდენტოდან საპარლამენტომდე, სტატიების კრებული, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
3. პაკტე, პ., მელენ-სუგრამიანი, ფ., (2012), კონსტიტუციური სამართალი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი,
4. საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, (2010), საქართველოს საკონსტიტუციო კომისია, თბილისი.
5. ფიში, ს., 2012საქართველოს კონსტიტუციური განვითარება შედარებითი განვითარების რაკურსში, გამომცემლობა „monos“ ქართული თარგმანი.

6. ჯიბლაშვილი, ზ., (2015), პრეზიდენტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსის არსი პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში, ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, თბილისი, №3 .

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია ს.ს.ი.პ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“
2. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თბილისი, 15.10.2010 ს.ს.ი.პ საქართველოს „საკანონმდებლო მაცნე“.
3. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თბილისი, 13.10.2017 ს.ს.ი.პ საქართველოს „საკანონმდებლო მაცნე“

საიტები:

1. Конституция Чехии (Чехипской Республики) [http:// legalns. com/ download/ booKs/ cons/czech republic.pdf](http://legalns.com/download/booKs/cons/czech%20republic.pdf)
2. Конституция Реснублики болгарии [https:// www. parliament. am/ librapy/ sahmanadrutyunner/ bulgaria.pdf](https://www.parliament.am/library/sahmanadrutyunner/bulgaria.pdf)
3. The Constitution (USTAV REPLIKE HRVATSKE) <https://www.google.com>
4. Копституция Польши (Реснублики Нольши) [http://mspa 7520 .ru/ konstituciya respubliki Polsha](http://mspa7520.ru/konstituciya%20respubliki%20Polsha)
5. Конституция (Основной Закон) Эстонской Реснублики [http://nemzentikonyvar. Komany .hu/download /3/00/50000/orosznyomda iavitott. Pdf](http://nemzentikonyvar.komany.hu/download/3/00/50000/orosznyomda%20iavitott.pdf)
6. Конституция Реснублики Молдова [https:// www. md. undp. org/ content/ dam/ Moldova/ docs/ Publications/Constitutia%20RM%20formal%20mic%20Rus%20Tipar%2014-07-2016.pdf](https://www.md.undp.org/content/dam/Moldova/docs/Publications/Constitutia%20RM%20formal%20mic%20Rus%20Tipar%2014-07-2016.pdf)
- 7.Constitutia Romaniei. <https://evergreen.tsu.ge/eg/onob/resiits?query>
8. Конституция Латвийской Реснублики [https:// web. archlve. org/ web/ 20060713101248/ http:// www. mK.gov. lv/ru/mk/darbibu-reglamentejosi dokumenti/satversme](https://web.archive.org/web/20060713101248/http://www.mk.gov.lv/ru/mk/darbibu-reglamentejosi%20dokumenti/satversme)

**Domestic Competencies of the President of Georgia
In the Context of the Constitutional Reforms of October 13, 2017**

Pachoshvili Koba

Caucasus International University

Iakob Gogebashvili Telavi State University

Abstract

This paper discusses the constitutional reform implemented in the Constitution of Georgia on October 13, 2017, the list of domestic competencies of the President, which were reduced to a minimum, and the problematic issues arising in this direction, ways to solve them, and expected results.

Special attention is paid to such important competencies characteristic of the institution of the President as participation in the process of forming the executive branch and his participation in the discussion of individual issues at government meetings, which were excluded from the powers of the President as a result of the aforementioned constitutional amendments.

The discussion of the issues raised in the paper and the reasoned conclusions provide an answer to the question of whether, under parliamentary rule, the President, as the head of state, can participate in the government formation processes and participate in the discussion of individual issues raised by him at the meetings of the government.
